ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში

მარიამ ქართველიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, MSW, PHD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ქართველიშვილი

თარიღი: 06.07.2015

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს სექტორის კოორდინაციას ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებზე. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ბიზნეს და არასამთავრობო სექტორს შორის სოციალურ პროგრამებზე მუშაობასთან დაკავშირებული ყველა ასპექტი, ბიზნეს სექტორისათვის პრიორიტეტული სოციალური პრობლემები და კომპანიის მოტივატორები სოციალურ პროექტებში მონაწილეობაზე. მეთოდოლოგიურ ნაწილში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, კი ჩაღრმავებული ინტერვიუ და სამაგიდე კვლევა. სამაგიდე კვლევის ფარგლებში გაანალიზდა კომპანიების წლიური ანგარიშები და ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებულ სოციალურ პროექტებზე. ნაშრომში განხილულია სამი ძირითადი ტენდენცია: ბიზნესს სფეროს პრიორიტეტები, მოტივატორები და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზები. მიღებული შედეგები ასახავს ინფორმაციის ნაკლებობით განპირობებულ არასანდოობას და არასაკმარის კოორდინაციას.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, არასამთავრობო ორაგანიზაცია, პრიორიტეტი , მოტივატორი, კოორდინაცია, სექტორი, სოციალური

Abstract

Coordination between NGO and social responsibility of business is basically considered in the following work. The research involves all the aspects of the work NGO and business realize towards social problems, priority social problems for business sector and the motivators for companies to get involved in social projects.

Methodology of the research was defined by conducting profound interviews of qualitative method and by desk research. In this research annual accounts of the companies and information's on the web sites about the realized social projects were analyzed.

Three basic tendencies are determined in this work: priorities of business sector, motivators and ways how to collaborate with NGO.

The results represents some unreliable aspects and not enough coordination conditioned by the lack of information.

Key Words: business, NGO, priority, motivator, coordination, sectory, social

მადლობა

„სოციალური პასუხისმგებლობის აქტუალობის, პრობლემის გააზრების“ კვლევა ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს სოციალური ფონის, სოციალური პრობლემების შესასწავლად. ასევე ბიზნესის და არასამთავრობო სექტორის ჩართულობის და კოორდინაციის გამოსავლენად. სწორედ ამიტომ, მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო გამოკითხული რესპოდენტების მიმართ. როგორც კერძო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების კონსტრუქციულმა თანამშრომლობამ, ხელი შეუწყო კვლევის ჩატარებას და მონაცემთა შეგროვებას. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კვლევის ხელმძღვანელს დახმარებისთვის და დაუღალავი შრომისათვის კვლევის განხორციელების ყველა ეტაპზე.